

## ქართული სამისამართო სახელწოდებების ინგლისური შესატყვისების მართლწერა და ტრანსლიტერაცია

(თბილისის სამისამართო სახელწოდებების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები)

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) მიზანია სახელმწიფო ენის სრულ-ფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ენის ფუნქციონირების სწორი ადმინისტრირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია საკუთარი სახელების მართვა, რაც სახელების (პიროვნების სახელები და გვარები, გეოგრაფიული სახელები, სასაქონლო ნიშნები და სხვ.) შესახებ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი განხორციელების მექანიზმების შემუშავება-დანერგვას გულისხმობს.

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, აგრეთვე რეკლამის შესახებ საქართველოს კანონი არეგულირებს სახელმწიფო და არასახელმწიფო ენაზე გარე წარწერების განთავსების წესს, თუმცა, როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მოკვლევამ აჩვენა, ეს წესი ხშირად ირღვევა: სახელმწიფო ენაზე შესრულებული წარწერა არ არის ორთოგრაფიულად გამართული, ხოლო უცხოენოვანი წარწერა არ შეესაბამება ტრანსლიტერაციის დადგენილ სტანდარტს. ინგლისურენოვან წარწერებში ზოგჯერ დარღვეულია ინგლისური ენის მართლწერის წესები. არ არის ბოლომდე უნიფიცირებული შემოკლებები, გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებები და სხვ.

თბილისისა და მისი შემოგარენის 2000 სამისამართო სახელწოდების ქართულ-ინგლისური დაწერილობის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომელთა განზოგადებითაც შემუშავდა რეკომენდაციები. რეკომენდაციები გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენში, II (2019-2020: 113-116).

აღნიშნული რეკომენდაციები შეივსო ან ჩასწორდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შემოსული კორექციონირებისა და შეკითხვების საფუძველზე. რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამისამართო ინფრასტრუქტურის განახლებისას ან ახალი ქუჩების სახელდებისას როგორც თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში.

1) მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით წარმოდგენილი ქუჩის სახელის ტრანსლიტერაციისას არ არის შენარჩუნებული ნათესაობითი ბრუნვა, თარგმნილია საზღვრული ან ორივე კომპონენტი.

**რეკომენდაცია:** მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით წარმოდგენილ გეოგრაფიულ ობიექტებზე გავრცელდეს ტრანსლიტერაციის წესი (ნათესაობითი ბრუნვის ჩათვლით), ხოლო მისი სრული ინგლისური თარგმანი ტრანსლიტერაციასთან ერთად სურვილის შემთხვევაში განთავსდეს ქუჩის დასაწყისში შენობაზე ან გამოსაჩენ ადგილას:

- მარუხის გმირების ქუჩა – Marukhis Gmirebi (Marukhi Heroes) Street
- თაბორის მთის ქუჩა – Taboris Mta (Mount Tabor) Street
- ვაშლის ბაღების ჩიხი – Vashlis Baghebi (Apple Gardens) Dead-End

2) პიროვნების სახელობის ქუჩების სახელწოდებების ტრანსლიტერაციისას არ არის გათვალისწინებული პიროვნების სახელის გამოყენების ტრადიცია.

**რეკომენდაცია:** ტრანსლიტერაციისას პიროვნების სახელობის ქუჩების სახელწოდებები გაფორმდეს კონკრეტული პიროვნებისა და ლიტერატურული პერსონაჟის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული ფორმის მიხედვით და არა პირდაპირი ტრანსლიტერაციით:

- არსენას I შესახვევი – Arsenal Lane

3) პიროვნების სახელობის ქუჩების თანხმომავანფუძიანი სახელწოდების ტრანსლიტერაციისას არ არის გათვალისწინებული ორთოგრაფიული წესი.

**რეკომენდაცია:** პიროვნების სახელობის ქუჩების თანხმოდანფუძიანი სახელწოდება ტრანსლიტერაციისას გადმოიცეს სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე:

მალხაზის ქუჩა – Malkhaz Street

რუსუდანის შესახვევი – Rusudan Lane

**შენიშვნა:** გამონაკლისია ბესიკის ქუჩა – Besiki Street.

4) ხმოვანფუძიანი ტოპონიმები ტრანსლიტერაციისას ზოგჯერ, ქართულის მსგავსად, შეკვეცილი ფუძით არის წარმოდგენილი.

**რეკომენდაცია:** ხმოვანფუძიანი ტოპონიმების ტრანსლიტერაციისას არ შეიკვეცოს ფუძისეული ხმოვანი:

მამკოდის ქუჩა – Mamkoda Street

ძვეერის ქუჩა – Dzevera Street

ბზითაგორის ქუჩა – Bzitagora Street

5) არაქართული წარმომავლობის სიტყვები, რომლებიც ემთხვევა ინგლისურ შესატყვისს, მოცემულია პირდაპირი ტრანსლიტერაციის ფორმით.

**რეკომენდაცია:** როცა ქუჩის სახელწოდება ემთხვევა ინგლისურ შესატყვისს, გამოყენებული უნდა იყოს ინგლისური და არა ტრანსლიტერირებული ფორმა:

არსენალის მთა – Arsenal Hill

ჰორტენზიის ქუჩა – Hortensia Street

ავტომუზეუმის ქუჩა – Automuseum Street

9 აპრილის ქუჩა – 9 April Street

6) არაქართული ტოპონიმები ტრანსლიტერაციის დროს გადატანილია ქართული ორ-თოგრაფიის მიხედვით (სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვით).

**რეკომენდაცია:** როცა ქუჩის დასახელება შეიცავს არაქართულ ტოპონიმს, ინგლისურ ვარიანტში გამოყენებული უნდა იყოს არა სახელობითი ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილი ქართული ფორმა, არამედ დამკვიდრებული უცხოენოვანი ფორმა:

არარატის ქუჩა – Ararat Street

ართვინის ჩიხი – Artvin Dead-End

სევანის ქუჩა – Sevan Street

7) უცხოელი მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების, საზოგადო მოღვაწეების გვარსახელების ტრანსლიტერაცია ქართულიდან ტრანსლიტერაციის წესებს ეყრდნობა და უგულებელყოფილია საწყისი ენის ტრანსლიტერაციის წესები.

**რეკომენდაცია:** არალათინური ანბანის მქონე ენების (მაგალითად, სლავური) კუთვნილ პირთა სახელებისა და გვარების ტრანსლიტერაცია მოხდეს ამ ენის ინგლისურად ტრანსლიტერაციის წესის მიხედვით:

იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა – Ippolitov-Ivanov Street

მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა – Mikhail Lermontov Street

ვალერი ჩკალოვის ქუჩა – Valery Chkalov Street

პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩა – Pyotr Tchaikovsky Street

**შენიშვნა:** უცხოური გვარის დაბოლოების მატარებელი ქართული კულტურისგან განუყოფელი საზოგადო მოღვაწეების გვარების შემთხვევებში წესი აღრეულია, მაგალითად: ვასილ ბარნოვის ქუჩა – Vasil Barnovi Street, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა – Nikoloz Khudadovi Street, გიორგი გეხტმანის ქუჩა – Giorgi Gekhtman Street (ასევე ფიქსირდება, როგორც Giorgi Gechtman – გერმანული ფორმა), კირიაკ ზავრიევის ქუჩა – Kiriak Zavriev Street, ისააკ ალიხანიანის ქუჩა – Isaak Alikhanyan Street. სასურველია, რომ ასეთ გვარებზე ერთი წესი გავრცელდეს, გარდა ვასილ ბარნოვისა (Vasil Barnovi). ტრანსლიტერაციისას ამ გვარებში სახელობითი ბრუნვის ნიშნის გადატანა სავალდებუ-

ლო არ არის.

8) წმინდანის სახელის ტრანსლიტერაციისას გამოყენებულია მისი არაქართული დანერილობა.

**რეკომენდაცია:** წმინდანების სახელის ტრანსლიტერაციისას გამოყენებული უნდა იყოს სახელის ქართული და არა ლათინიზებული ფორმა, ხოლო სურვილის შემთხვევაში ფრჩხილებში ქუჩის დასაწყისში ან გამოსაჩენ ადგილას განთავსდეს ასევე სახელის ინგლისური ფორმა და ზედწოდება სრული თარგმანით:

- წმინდა ბარბარეს უბანი – Tsminda Barbare (Saint Barbara) District
- ანდრია პირველწოდებულის ქუჩა – Andria Pirveltsodebuli (Andrew the First-Called) Street
- იოანე ნათლისმცემლის ქუჩა – Ioane Natlismtsemeli (John the Baptist) Street

9) მეფის სახელობის ქუჩების ტრანსლიტერაციისას არაერთგვაროვანი ვითარებაა. სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვისა და მეფის სახელის თანამიმდევრობა განსხვავებულია ქართულსა და ინგლისურ ენებში.

**რეკომენდაცია:** მეფის სახელისა და სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვის შემცველი ქუჩის სახელწოდებების ტრანსლიტერაციისას შენარჩუნდეს ქართულში არსებული თანამიმდევრობა, ხოლო ქუჩის დასაწყისში ან გამოსაჩენ ადგილას სურვილის შემთხვევაში მიეთითოს უცხო ენისთვის დამახასიათებელი თანამიმდევრობა თარგმანით:

- თამარ მეფის ქუჩა – Tamar Mepe (Queen Tamar) Street
- მეფე სოლომონ II-ის ქუჩა – Mepe (King) Solomon II Street
- მეფე ფარნავაზის ქუჩა – Mepe (King) Parnavaz Street
- მირიან მეფის ქუჩა – Mirian Mepe (King Mirian) Street
- არჩილ მეფის ქუჩა – Archil Mepe (King Archil) Street
- ქეთევან დედოფლის გამზირი – Ketevan Dedopali (Queen Ketevan) Avenue

10) ნართანიანი მრავლობითის ფორმები ტრანსლიტერაციისას ზოგან შეცვლილია ებ-იანი მრავლობითით.

**რეკომენდაცია:** დარჩეს ნართანიანი მრავლობითი ტრანსლიტერაციისას, სურვილის შემთხვევაში გამოსაჩენ ადგილას ფრჩხილებში დაიწეროს თარგმანიც:

- მამულიშვილთა ხიდი – Mamulishvilita (Patriots) Bridge
- მებრძოლთა ქუჩა – Mebrdzolta (Fighters) Street
- მეფრინველეთა ქუჩა – Meprinveleta (Poultry Breeders) Street
- ორბელთა ქუჩა – Orbelta (the Orbelis) Street
- ფეიქართა ქუჩა – Peikarta (Weavers) Street
- ფერმწერთა ქუჩა – Permtserta (Painters) Street
- ხელოვანთა ქუჩა – Khelovanta (Artists) Street
- ახალმონამეთა ქუჩა – Akhalmotsameta Street (New Martyrs) Street

11) ზოგჯერ ერთზე მეტი ლექსიკური ერთეულის შემცველი სახელწოდებები წარმოდგენილია მხოლოდ თარგმანით და არა ტრანსლიტერირებული ფორმით.

**რეკომენდაცია:** როდესაც სახელწოდება ერთზე მეტი ლექსიკური ერთეულისგან შედგება, გამოყენებული უნდა იყოს ტრანსლიტერაცია. ხოლო სახელწოდების შინაარსის გადმოსაცემად თარგმანი შეიძლება მიეთითოს ქუჩის გამოსაჩენ ადგილას ან დასაწყისში:

- ასი ათასი მონამის ქუჩა – Asi Atasi Motsame Street (Hundred Thousand Martyrs Street)
- დაძმობილებული ქალაქების სახელობის სკვერი – Dadzmobilebuli Kalakebi Minipark (Twin Cities Minipark)
- სამრეწველო დასახლების ქუჩა – Samretsvilo Dasakhleba Street (Industrial Settlement Street)
- სამხედრო დასახლების ქუჩა – Samkhedro Dasakhleba Street (Military Settlement Street)
- წმინდა ასი ათასი ქართველი

მონამის სახელობის ხიდი

– Tsminda Asi Atasi Kartveli Motsame Bridge  
(Hundred Thousand Georgian Saint Martyrs Bridge)

ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა – Ertianobistvis Mebrdzolta Street (Fighters for Unity Street)  
12) ერთი საზოგადო სახელით გადმოცემული სახელწოდება ხან თარგმნილია, ხან არა.

**რეკომენდაცია:** ერთი საზოგადო სახელით გადმოცემული ქუჩის სახელწოდების ინგლისური თარგმანის გამოყენება ტრანსლიტერაციასთან ერთად სავალდებულო არ არის და ის შესაძლებელია განთავსდეს არა ყველა შენობაზე, არამედ ქუჩის დასაწყისში ან სხვა გამოსაჩენ ადგილას:

ერთობის ქუჩა	– Ertoba (Unity) Street
ექიმების ქუჩა	– Ekimebi (Doctors) Street
ვაზის ქუჩა	– Vazi (Vine) Street
ზღვის ქუჩა	– Zghva (Sea) Street
კალატოზის ქუჩა	– Kalatozi (Bricklayer) Street
მეველის შესახვევი	– Mevele (Outguard) Lane
მნათობის შესახვევი	– Mnatobi (Luminary) Lane
მომავლის ქუჩა	– Momavali (Future) Street
მონადირის ქუჩა	– Monadire (Hunter) Street
მშვიდობის ქუჩა	– Mshvidoba (Peace) Street
ნაკადულის ქუჩა	– Nakaduli (Brook) Street
საექიმოს გასასვლელი	– Saekimo (Medical) Path
სამრეკლოს ქუჩა	– Samreklo (Belfry) Street
ხიდის ქუჩა	– Khidi (Bridge) Street
ტაძრის ქუჩა	– Tadzari (Temple) Street
ახალგაზრდობის ქუჩა	– Akhalgazrdoba (Youth) Street
მეგობრობის ქუჩა	– Megobroba (Friendship) Street
მეზღვაურის ქუჩა	– Mezghvauri (Sailor) Street
გვირილების ქუჩა	– Gvirilebi (Daisies) Street
ბრონეულის ქუჩა	– Brotseuli (Pomegranate) Street
გაზაფხულის ქუჩა	– Gazapkhuli (Spring) Street
მებაღეობის ქუჩა	– Mebagheoba (Gardening) Street
მეურნის ქუჩა	– Meurne (Carter) Street
ალუბლის ქუჩა	– Alubali (Cherry) Street
ალუბლების ქუჩა	– Alublebi (Cherries) Street
იასამნის ქუჩა	– Iasamani (Lilac) Street
მაისის ქუჩა	– Maisi (May) Street

**შენიშვნა:** გასათვალისწინებელია ქართული სამისამართო სახელწოდებების უცხოენოვანი შესატყვისის მართლწერისა და ტრანსლიტერაციისას სახელის შინაარსი, ის კონკრეტული ტოპონიმის სახელწოდებაა თუ საზოგადო სახელი, მაგალითად: ბაღნარის, ველის, განთიადის ქუჩები. ეს ქუჩები სოფლების სახელწოდებებია. გარდა ამისა, განთიადი გაგრის მუნიციპალიტეტში დაბის სახელია. შესაბამისად, უცხოენოვან შესატყვისად უნდა დაინეროს მხოლოდ ტრანსლიტერირებული ფორმა თარგმანის გარეშე.

13) ზოგჯერ ქართველი საზოგადო და ისტორიული მოღვაწეების სახელობის ქუჩების სახელწოდებებში უგულებელყოფილია ქართულიდან ტრანსლიტერაციის წესები.

**რეკომენდაცია:** ქართველი საზოგადო და ისტორიული მოღვაწეების სახელობის ქუჩების სახელწოდებების ტრანსლიტერაციისას გამოყენებული უნდა იყოს ზუსტი ტრანსლიტერაცია:

დავით აღმაშენებლის გამზირი – Davit Aghmashenebeli Avenue

მაია წყნეთელის ქუჩა – Maia Tsqneteli Street

სოფიკო ჭიაურელის ქუჩა – Sopiko Chiaureli Street

14) გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელებისა და მათი შემოკლებების უნიფიცირებული სიის დამატება:

1. St/St. არის ყველაზე მიღებული ფორმა ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში. დღეს თბილისის ქუჩებში ფართოდ გამოიყენება St. ვარიანტი, რომლის შეცვლაც, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ ადრე დამტკიცებული წესის შესაბამისად (Str.), შექმნის სირთულეებს. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ St. აბრევიატურა. ხოლო მცირე ზომის სახელწოდებების შემთხვევაში, სასურველია, გამოყენებული იყოს სრული ფორმა Street;

2. „მდინარის“ აბრევიატურის აღნიშვნისას გამოყენებული უნდა იყოს მდ. ფორმა, ხოლო უცხო ენაზე riv., მაგალითად: მდ. მტკვარი, riv. Mtkvari;

3. ინგლისური საზოგადო სახელის Village (სოფელი) აბრევიატურა ენის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად არის VLG. პარალელურ ფორმად შესაძლებელია vill. აბრევიატურის გამოყენება, მაგალითად: vill. Dighomi.

### ლიტერატურა

1. ბერიძე მ., გოგია ნ., თეთრაძე მ., კობიაშვილი ს., მუნიციპალური ტოპონიმისა და გეოგრაფიული ობიექტების მართლწერის, ტრანსლიტერაციისა და თარგმანის საკითხები, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენი, II, გამომცემლობა გრიფონი, თბილისი, 2019-2020, გვ. 113-116
2. ზარდალიშვილი გრ., თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1978
3. საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 2009
4. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი; რედაქტორები: ი. აფხაზავა, ი. გიგინეიშვილი, ა. კობახიძე, დ. უკლება, მ. ჭაბაშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1987